

დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

ინტერდისციპლინარული საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ მიზანია მოამზადოს მუნიციპალური, რეგიონალური და საერთაშორისო დონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მთის მდგრადი ტურიზმის თეორიებისა და პრინციპების მცოდნე სპეციალისტი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს გაანალიზოს, შეაფასოს, ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები მთის მდგრადი ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ დარგებში.

პროგრამის სწავლის შედეგები

„მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

განმარტავს ტურიზმისა და მასპინძლობის არსებულ ძირითად ცნებებს, თეორიებს და მთის მდგრადი ტურიზმის უსაფრთხოების ზოგად დებულებებს, მთის ტურიზმში არსებული საფრთხეების სახეობებს, ბუნებრივ საფრთხეებს და მათგან დაცვის საშუალებებს;

აღწერს ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, ტურისტული ორგანიზაციის სახეებსა და ტურისტული გადაადგილებების ძირითად მოტივაციურ ასპექტებს;

განიხილავს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებულ ძირითად მიმართულებებს, ტურისტულ სფეროში/მთის ტურიზმში არსებულ სამართლებრივ საკითხებს, ტურიზმის/მთის ტურიზმში არსებულ უსაფრთხოების საკითხებს;

იდენტიფიცირებას **ახდენს** სტუმარ მასპინძლობაში მთის ტურების შემუშავებისას მთიანი რეგიონის მოსახლეობის კულტურულ, ისტორიულ ორგანულ, ტრადიციულ, ეთნიკურ და რელიგიურ თავისებურებებს;

არჩევს და იყენებს უსაფრთხო ტურისტულ მარშრუტებს ველურ, მთის ბუნებრივ გარემოში, ტურიზმის, როგორც თანამედროვე ბიზნეს-კლასტერის განვითარების სოციო-ფსიქოლოგიურ ასპექტებს, პროფესიულ დონეზე ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში აუცილებელი სერვისებით (დაჯავშნა, განთავსებას, ღონისძიებების ადმინისტრირება, კვების უსაფრთხოება) უზრუნველყოფას და მათ საჯარო პრეზენტირებას პროფესიულ საზოგადოებასთან;

აანალიზებს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში შემავალი კომპონენტების: განთავსების, ტრანსპორტირების, კვების, ატრაქციების, ღონისძიებების, რეკრეაციის, ტუროპერირების პრობლემებს;

აფასებს მთის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემებსა და ინდიკატორებს და პრაქტიკული სამუშაოების მეთოდის თეორიული ცოდნის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს; მონაცემების შეფასების საფუძველზე არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ დასკვნებს და აყალიბებს საქმიან წინადადებებს ტურიზმის/მასპინძლობის სფეროში ეფექტური წერიითი და ვერბალური კომუნიკაციის დასამყარებლად;

გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესის შეფასებას და შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროებების განსაზღვრას;

პატივს სცემს განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა და კულტურის, რელიგიური მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და უმცირესობების მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას და გარემოს დაცვისა და უსაფრთხო ტურისტული გარემოს უზრუნველყოფისთვის არსებული კანონის და ეთიკური ნორმების დაცვას.

შეფასების სისტემა:
შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
 დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით		
	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	უცხოური ენა B 1.1	6
2.	უცხოური ენა B 1.2	6
3.	უცხოური ენა B 2.1	5
4.	უცხოური ენა B 2.2	5
5.	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -1	4
6.	მათემატიკა 1.1	5
7.	საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი	4
8.	ტურიზმის საფუძვლები	6
9.	საქართველოს ისტორია და კულტურა	5
10.	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები -2	4
11.	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	5

12.	ეკონომიკის პრინციპები	5
13.	მენეჯმენტის საფუძვლები	5
14.	მარკეტინგის საფუძვლები	5
15.	დესტინაციის მარკეტინგი	4
16.	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	5
17.	მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები	6
18.	შესავალი მასპინძლობის ინდუსტრიაში	5
19.	კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	5
20.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5
21.	მთის კლიმატი და აგრომეტეოროლოგიის საფუძვლები	5
22.	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5
23.	ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები	5
24.	ტურისტული მომსახურების ხელოვნება	5
25.	ბრენდმენეჯმენტი	4
26.	საკურორტო ტურიზმი	4
27.	მომხმარებელთა ქცევა	4
28.	ლოგისტიკა	4
29.	ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული პასუხისმგებლობა	4
30.	სადაზღვევო საქმის საფუძვლები	5
31.	ტუროპერეტიინგი	5
32.	გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები მდგრადი განვითარებისათვის	5
33.	სასტუმრო მომსახურება და მართვა	5
34.	მთის ეთნოკულტურა და რეგიონის გიდი	5
35.	კვებითი და სარესტორნე მომსახურება	5
36.	მთიანი გარემოს ეკოლოგია	5
37.	საველე პრაქტიკა	10
38.	მწვანე ეკონომიკა	5
39.	მთიანი რეგიონების დემოგრაფია	5
40.	საბაკალავრო ნაშრომი	10
41.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში	5
42.	უსაფრთხოება სამთო ტურიზმში	5
43.	მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა	5
44.	გასტრონომიული ტურიზმი	
45.	MICE ტურიზმი	
46.	ელექტრონული კომერცია ტურიზმში	

47.	ტურიზმის გეოგრაფია და საერთაშორისო ტურისტული ბაზრები	
48.	ეკო-სასოფლოტურიზმი	
49.	აგრო-ფერმერული ტურიზმი	
50.	მთის რეგიონალური ტურიზმი	
51.	საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები	
52.	ფინანსების საფუძვლები	
53.	მთის კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია	
54.	მთიანი ზონის სამკურნალო მცენარეები	
55.	მთის ბუნებრივი საკვები რესურსების გამოყენების უსაფრთხოება და უვნებლობა	
56.	მთის ზონის ორგანული სოფლის მეურნეობა	
57.	საქართველოს მაღალმთის ნიადაგები	